პროფესიული მომზადების პროგრამა: ელექტროგაყვანილობის მონტაჟი/Electrical wiring installation

პროგრამის მიზანი:

1. პროგრამის მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით მოამზადოსპირი, რომელსაც ექნება თეორიული ცოდნა და პრაქტიკული უნარები ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად უსაფრთხოების ნორმების დაცვით.
2. პროფესიული მომზადების პროგრამის ,,ელექტროგაყვანილობის მონტაჟი'' მიზანია უზრუნველყოს ადგილობრივი ბაზარი კონკურენტუნარიანი კადრებით.
3. პროგრამა შემუშავებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს ყველა იმ საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავებას, რაცსაჭიროა კვალიფიციური ელექტრომემონტაჟისათვის.
4. პროგრამის მიზანია მსმენელებს გაუუმჯობესოს ის კომპეტენციები, რომლებიც დაეხმარება მათ დასაქმებასა და თვითდასაქმებაში.

პროგრამის ხანგრძლივობა:

- 11 კვირა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

- საბაზო განათლება

სწავლის შედეგები:

1. ელექტროენერგიის მიღების, გადაცემის, განაწილებისა და აღრიცხვის წარმოება
2. ელექტროენერგიის განზომილებებისა და აღნიშვნების გამოყენება
3. ელექტრული და დიელექტრული მასალების გამოყენება
4. ელექტრომომარაგების მნიშვნელობის განსაზღვრა
5. შრომის უსაფრთხოების წესების დაცვა ელექტრული სამუშაოების შესრულების დროს
6. პირველადი გადაუდებელი დახმარება ელექტრო ტრავმების დროს
7. ელექტრული სქემების წაკითხვა
8. ელექტროსამონტაჟო სამუშაოების შესრულება

შეფასების მეთოდი:

- პრაქტიკული დავალება დაკვირვებით;
- გამოკითხვა;